ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სემუელ ბეკეტი

# უკანასკნელი ფირი

### პიესა

1969 წელს სემუელ ბეკეტი (1906-1989) ლიტერატურის ყველაზე საპატიო ჯილდოს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. იგი ირონიულად აღნიშნავდა, რომ ნობელის პრემიამ მას ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი – სიმარტოვე წაართვა. და მართლაც, ბეკეტის ცხოვრება, კარიერა, შემოქმედება ნობელის პრემიამდე ყველასთვის უჩინრად, ფარულად მიედინებოდა. ორმოც წელს მიღწეულს მას უფრო ჯეიმს ჯოისის ყოფილ პირად მდივნად იცნობდნენ, ვიდრე მრავალი ესეისა და გახმაურებული ტრილოგიის („მოლოი", „მელოუნი კვდება", „უსახელო") ავტორს. მოგვიანებით იწერება მისი „ელეფთერია" და ბოლოს „გოდოს მოლოდინში", რომელმაც მას როგორც ფრანგულენოვან მწერალს გაუთქვა სახელი. ბეკეტის თეატრში ტრადიციული კატეგორიები, ისევე როგორც დრამატურგიის ნებისმიერი კანონები დარღვეული ან უგულებელყოფილია. ამბავი ქრება, დრო იყინება. ბეკეტის თეატრის არსი სიჩუმეა. „ჩემი თეატრი არაფერს ნიშნავს. ჩემს პერსონაჟებს არსებობის აუცილებლობა აქვთ მისჯილი და გაყინულ სამყაროში იკარგებიან", ამბობდა იგი, მაგრამ მის პერსონაჟებს და მათ შორის, კრეპსაც გააჩნიათ მეხსიერება, რომელიც მათ არსებობას „გაუთავებელ ყვირილად" აქცევს.

„კრეპის უკანასკნელი ფირის" თარგმნის იდეა ჩემს ფრანგ მეგობარს, ცნობილ ჟურნალისტს თეატრის კრიტიკოსსა და მწერალს ჟან-პიერ ტიბოდას ეკუთვნის, რომელიც ორიოდე წლის წინათ თბილისში ქართული თეატრის გასაცნობად ჩამოვიდა. ერთ საღამოს მან მკითხა ჰყავს თუ არა დღევანდელ ქართულ სცენას გამორჩეული მსახიობი, რომელსაც ყველა იცნობს, ყველას უყვარს და რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ქართულ თეატრს. უყოყმანოდ დავასახელე ბატონი რამაზ ჩხიკვაძე. მეორე დღესვე ვეწვიეთ მას და შესანიშნავი საღამო გავატარეთ მის თბილ და ლამაზ სახლში. გამომშვიდობებისას ჟან-პიერ ტიბოდამ ბატონ რამაზს უთხრა: „მე ვიცი პიესა, რომელიც თქვენ სცენაზე დაგაბრუნებთ. სემუელ ბეკეტის „კრეპი" თქვენი პერსონაჟია, რადგან მხოლოდ დიდ მსახიობს შეუძლია გადმოსცეს ბეკეტისეული სიღრმითა და სარკაზმით ნაჩვენები ეული, არშემდგარი ადამიანის „ტრაგედია." თქვენ კი ძალიან დიდი მსახიობი ხართ.

პიესა კალმის ერთი მოსმით ითარგმნა, ბატონ რამაზსაც თითქოს ძალიან მოეწონა, მაგრამ...

თუმცა, ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს...

მთარგმნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გვიან საღამოს. ცოტა ხნის წინ.*

*კრეპის ბუნაგი.*

*ავანსცენაზე, ცენტრში ორუჯრიანი პატარა მაგიდა დგას. უჯრები დარბაზის მხრიდან იღება.*

*მაგიდასთან, დარბაზის პირისპირ და უჯრების საპირისპირო მხარეს მოშვებული, ქონმორეული მოხუცი ზის. ეს კრეპია.*

*ვიწრო, საკმაოდ მოკლე, გახუნებული, შავი შარვალი და ასევე შავი ფერდაკარგული ჟილეტი აცვია, ოთხი დიდი ჯიბით. ძეწკვზე მძიმე ვერცხლის საათი ჰკიდია. ჭუჭყიანი, თეთრი, უსაყელო პერანგის გულისპირი ნახსნილი აქვს. ფეხზე უზარმაზარი, სულ მცირე 48 ზომის თეთრი, ტალახში ამოსვრილი, მჭიდროდ მომდგარი მაღალყელიანი ფეხსაცმელი აცვია. გაცრეცილ სახეს დაჟღაჟა ცხვირი უმშვენებს. ცუდად გაპარსულს, ჭაღარა თმაც გაბურძგვნია.*

*კრეპი ბეცია, მაგრამ სათვალეს არ ატარებს. ეტყობა ყურსაც აკლია.*

*ნახლეჩილ ხმას უცნაური კილო დაჰკრავს.*

*მძიმედ და მოუქნელად დადის.*

*მაგიდაზე, მიკროფონიანი მაგნიტოფონი დგას. მუყაოს კოლოფებში უკვე ნაწერილი, ნახმარი ფირებია ნაწყობილი. მაგიდას და მის ახლო მდებარე სივრცეს კაშკაშა შუქი ეფინება, სცენის დარჩენილი ნაწილი სიბნელეშია მოქცეული.*

*კრეპი ერთხანს უძრავად დგას, მერე მძიმედ ამოიოხრავს, საათს დახედავს, ჯიბეებს მოიჩხრეკს, კონვერტს ამოიღებს, უკან ჩაიდებს, კვლავ იქექება ჯიბეში, გასაღებების შეკვრას მონახავს, თვალებთან ახლოს მიიტანს, ერთ-ერთს შეარჩევს, წამოდგება და მაგიდის უჯრებთან მიდის. დაიხრება. უჯრას გასაღებს მოარგებს, გამოაღებს, შიგ ჩაიხედავს, ხელს მოაფათურებს და ფირს ამოიღებს. ყურადღებით დააკვირდება, უკანვე ჩადებს და უჯრას გასაღებით ჩაკეტავს. მერე მეორე უჯრას გამოაღებს. ჩაიხედავს, ხელს მოაფათურებს, მოზრდილ ბანანს ამოიღებს, შეათვალიერებს, უჯრას ჩაკეტავს და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს. მობრუნდება, ავანსცენას მიუახლოვდება, შეჩერდება, ბანანს ხელს დაუსვამს, თითქოს ეფერებაო, გაფცქვნის, ქერქს ძირს დააგდებს, ბანანს პირში ჩაიდებს და სიცარიელეს მიშტერებული გაქვავდება. ბოლოს და ბოლოს ბანანს მოკბეჩს, მოტრიალდება და ავანსცენის გასწვრივ იწყებს სიარულს. ხუთი ნაბიჯი იქით, ხუთი ნაბიჯი აქეთ... ჩაფიქრებული შეექცევა ბანანს, მოულოდნელად, ფეხი ბანანის ქერქზე დაუცურდება, ლამის წაიქცეს, მაგრამ თავს შეიკავებს, დაიხრება, ბანანის ქერქს დააჩერდება და ფეხის ერთი მოქნევით საორკესტრო ორმოში მოისვრის, მერე წინ და უკან სიარულს განაგრძობს, ბანანს ბოლომდე შეჭამს, მაგიდას მიუახლოვდება და ჯდება. ერთხანს უძრავად ზის. მძიმედ ამოიოხრავს. ჯიბიდან გასაღებს ამოიღებს, თვალებთან მიიტანს, ერთ-ერთს ამოარჩევს, წამოდგება, მაგიდას მოუვლის, მეორე უჯრას გამოაღებს, სხვა ბანანს ამოიღებს, შეათვალიერებს, უჯრას ჩაკეტავს, გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს, მობრუნდება, ავანსცენას მიუახლოვდება, შეჩერდება, ბანანს ხელს დაუსვამს, თითქოს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ეფერებაო, გაფცქვნის და ქერქს ისევ ორმოში მოისვრის. ბანანს პირში ჩაიდებს და, სიცარიელეს მიშტერებული, გაქვავდება. ბოლოს რაღაც აზრი მოუვა თავში, ბანანს სანახევროდ ჟილეტის ჯიბეში ჩაიტენის და სწრაფად სცენის სიღრმეში, სიბნელისკენ გაფრატუნდება. გაივლის ათი წამი. ისმის ბოთლის საცობის ტკაცუნი. თხუთმეტი წამი. გაცვეთილი დავთრით ხელში კრეპი სინათლეს უბრუნდება და მაგიდას მიუჯდება. დავთარს მაგიდაზე დადებს. ტუჩებსა და ხელებს ჟილეტის ბოლოთი მოიწმენდს, ერთი-ორჯერ ტაშს შემოჰკრავს და ხელებს მოისრესს.*

**კრეპი** (ცოცხლად). – ოჰ! (დავთარს ჩაუკვირდება, გადაფურცლავს, მონახავს რასაც ეძებდა და კითხვას იწყებს). კოლოფი... სსსამი... ფირი ხხხუთი (თავს მაღლა აწევს და დაჟინებით რაღაცას შეაჩერდება სიამოვნებით). ფირი! (პაუზა) ფ-ი-ი-ი-რი! (ბედნიერი ღიმილით მაგიდაზე დაიხრება, კოლოფებს სათითაოდ, თვალებთან მიიტანს და ათვალიერებს). კოლოფი... სამმმი... სამ-მ-მი... ოთხი... ორი... (გაოცებული)... ცხრა! ღმერთო ჩემო!... შვიდი... აი, ისიც! შე, მაიმუნო, შენა! (კოლოფს აიღებს, თვალებთან მიიტანს, დაათვალიერებს) კოლოფი სამმმი (მაგიდაზე დადებს, გახსნის და შიგ მოთავსებულ ფირებს დაჰყურებს) ფირი... (დავთარში ჩაიხედავს)... ხხხუთი... ხხხუთი... აჰა! არამზადა! (ერთ-ერთ ფირს ამოიღებს, დააკვირდება)... ფირი ნომერი ხუთი. (მაგიდაზე დადებს, მესამე კოლოფს დახურავს, სხვებს გვერდით მოუდებს და შერჩეულ ფირს დაუბრუნდება) კოლოფი სსსამი, ფირი ხხხუთი. (მაგნიტოფონისკენ დაიხრება. თავს მაღლა ასწევს გემრიელად.) ფიიირი! (ისევ წაიხრება, ბედნიერი ღიმილით ფირს მაგნიტოფონში მოათავსებს და სიამოვნებით ხელებს მოისრესს.) ოხ! (წახრილი კვლავ დავთარში იხედება და გვერდის ბოლოში მოქცეულ ჩანაწერს კითხულობს) დედა გარდაიცვალა... ჰმ! შავი ბურთი... (თავს ასწევს, სიცარიელეს ჩააშტერდება. ცნობისმოყვარეობით.) შავი ბურთი?.. (ისევ დავთარში იხედება, კითხულობს.) შავტუხა ძიძა (თავს ასწევს, ჩაფიქრდება, ისევ დავთარს დაუბრუნდება, კითხულობს.) კუჭნაწლავის მდგომარეობის უმნიშვნელო გაუმჯობესება... ჰმ... დაუვიწყარი... (უკეთ რომ გაარჩიოს, თავს უფრო დაბლა ხრის. კითხულობს.) ბუნიობა, დაუვიწყარი ბუნიობა. (თავს აწევს, მზერა გაუშეშდება. ინტერესით.). დაუვიწყარი ბუნიობა?.. (პაუზა. მხრებს აიჩეჩავს, ისევ დავთარს ჩააკვირდება, კითხულობს.) მშვიდობით, სი... (ფურცელს გადაშლის)... ყვარული.

თავს აწევს, ჩაფიქრდება, მაგნიტოფონისკენ დაიხრება, ჩართავს, ოდნავ წინგაწეული მაგიდას იდაყვებით დაეყრდნობა და ცალ ხელს ყურთან მიიტანს. მაგნიტოფონს დააჩერდება. სახეს დარბაზს გაუსწორებს და მოსასმენად მოემზადება.

**ფირი** (ძლიერი, ოდნავ პომპეზური ხმა, რომელიც აშკარად ახალგაზრდა კრეპს ეკუთვნის.) – დღეს ოცდაცხრამეტი წელი შემისრულდა, ძველ – (აწრიალდება, რომ უფრო მოხერხებულად დაჯდეს, ხელს უნებლიეთ ერთ-ერთ კოლოფს წამოდებს, კოლოფი ვარდება, კრეპი იგინება, მაგნიტოფონს თიშავს, კოლოფებსა და დავთარს ხელის ერთი მოსმით იატაკზე გადაუძახებს, ფირს გადაახვევს, მაგნიტოფონს ჩართავს და წინანდელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზას უბრუნდება.) დღეს ოცდაცხრამეტი წელი შემისრულდა. ძველ ზუსტ წერტილს თუ არ ჩავთვლით, რკინასავით მაგარი ვარ. სრული უფლება მაქვს ჩემი ინტელექტი... (ყოყმანობს) ... ზღვის ბობოქარ ტალღას ან რაიმე მსგავსს შევადარო. ღირშესანიშნავი თარიღი, როგორც ყოველთვის, დუქანში მშვიდად ვიზეიმე. არავინ იყო. ცეცხლის პირას თვალმოხუჭული ვიჯექი, ვფიქრობდი და ხორბლის მარცვალს ღვარძლისგან ვარჩევდი. რამდენიმე ჩანაწერიც გავაკეთე კონვერტის მეორე მხარეს. სიამოვნებით დავბრუნდი ჩემს ბუნაგში და საშინაო ძველმანებში გავეხვიე. ვისადილე. მრცხვენია, მაგრამ სამი ბანანი შევჭამე, მეოთხეზე დიდი გაჭირვებით უარი ვთქვი. ნამდვილი საწამლავია ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის (დაბეჯითებით.) უნდა შევეშვა. (პაუზა.) ეს ახალი განათება ჩემს მაგიდასთან ძალიან მომწონს. სიმარტოვე აღარ მაწუხებს, როცა ირგვლივ სრული სიბნელეა. (პაუზა.) მეტნაკლებად. (პაუზა.) მომწონს წამოდგომა და იქ, ბნელში გასეირნება, შემდეგ კი დაბრუნება აქ... (ყოყმანის შემდეგ) ... ჩემთან. (პაუზა.) კრეპთან. (პაუზა). ხორბლის მარცვალი... ნეტავ ვიცოდე, რას ვგულისხმობდი, ვფიქრობ, რომ (ყოყმანობს)... ალბათ, ისეთი რამეები ვიგულისხმე, რაც მაშინაც ფასეული იქნება, როცა მტვერს — ჩემს მტვერს ჩამოვიფერთხავ. თვალებს ვხუჭავ და ყველაფრის გაცოცხლებას ვცდილობ.

*პაუზა. კრეპი ერთი წამით თვალებს მოხუჭავს*

ირგვლივ უცნაური სიჩუმეა, სმენას ვძაბავ და სუნთქვაც კი აღარ მესმის. მოხუცი მის მაკგლოუმი ყოველთვის ამ დროს მღერის. დღეს რატომღაც ჩუმადაა. ქალიშვილობის დროინდელ სიმღერებსო, როგორც თვითონ ამბობს. ძნელია მისი ქალიშვილად წარმოდგენა. ისე, ძალიან კარგი მოხუცია. მგონი, ქონაუტიდანაა ჩამოსული. (პაუზა.) ნუთუ, მეც ვიმღერებ მისი ხნის რომ გავხდები, თუ გავხდები ოდესმე მისი ხნის? არა. (პაუზა.) პატარა რომ ვიყავი, თუ მიმღერია? არა. (პაუზა.) საერთოდ ოდესმე თუ მიმღერია? არა. (პაუზა). ახლახან რომელიღაც გასული წლის ჩანაწერები მოვისმინე. ალალბედზე შევარჩიე. დავთარში არ ჩამიხედია, მაგრამ სულ მცირე ათი-თორმეტი წლის წინანდელი უნდა ყოფილიყო. იმ დროს, მგონი, ისევ ბიანკასთან ვცხოვრობდი კედარ-სტრიტზე... უფრო ზუსტად, მის ხარჯზე ვცხოვრობდი. კარგა დროზე დავაღწიე თავი, აბა! უიმედო იყო. (პაუზა.) გასახსენებელიც არაფერი დამრჩა, თვალების გარდა. (პაუზა.) თბილი გამოხედვა ჰქონდა. თითქოს ხელახლა დავინახე მისი... (პაუზა.) ... შეუდარებელი თვალები. (პაუზა.) შეუდარებელი! (პაუზა.) რა გაეწყობა... (პაუზა.) საშინელებაა ამ ძველ ამბებში ქექვა, თუმცა — (კრეპი მაგნიტოფონს გამორთავს, ჩაფიქრდება, ხელახლა ჩართავს) — ისინი წარსულში... (ყოყმანით) ... დაბრუნებას მიადვილებენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ოდესღაც ასეთი გონებაჩლუნგი ვიყავი! ეს ხმა! ღმერთო ჩემო! იმედები! (ხითხითი, რომელსაც კრეპიც აჰყვება.) დაპირებანი! (ხითხითი, რომელსაც კრეპიც აყვება.) მაგალითად, ნაკლები დამელია. (კრეპი ხითხითებს.) სტატისტიკა მოვიშველიოთ. ჩემი ცხოვრების რვა ათასი... არა, რვა ათასზე მეტი საათიდან ათას შვიდასი სმაში გავატარე. ფხიზელი ცხოვრების 20... არა, თითქმის ორმოცი პროცენტი. (პაუზა.) ოცნებები ნაკლე-

ბად... (ყოყმანობს) დამღლელ სექსუალურ ცხოვრება ეს შევალიე. მამის უკანასკნელი ავადმყოფობა. ბედნიერების გაშმაგებული ძიება. საფალართო პრეპარატების უშედეგო მიღება. ეგრეთწოდებული ახალგაზრდობის მასხრად აგდება და შვებით ამოსუნთქვა, რომ ეს წლები გავიდა. (პაუზა.) ყალბია. (პაუზა.) მთავარი ნაწარმოების... მკრთალად მოხაზული კონტურები. დაბოლოს – (ჩაიცინებს) – ბედისწერის მისამართით უსუსური წკვიტინი. (ხანგრძლივი სიცილი, რომელსაც კრეპიც უერთდება.) რა შემომრჩა ამ უაზრობის სანაცვლოდ? გაცვეთილ, მწვანე პალტოში გამოწყობილი გოგო სადგურის ბაქანზე? ასეა ხომ?

*პაუზა.*

მახსენდება –

კრეპი მაგნიტოფონს გამორთავს, ჩაფიქრდება, საათს დახედავს, წამოდგება და სცენის სიღრმეში, სიბნელეში გაუჩინარდება. ათი წამი. ბოთლის საცობის ტკაცუნი. ათი წამი. კიდევ ერთი მესამე საცობის ხმა. სიბნელიდან გაბზარული ხმით წამღერებული ნაწყვეტი მოისმის.

*კრეპი (მღერის).*

*მწუხრი, ეშვება მთიდან,*

*ცა სილაჟვარდეს კარგავს,*

*ხმაური ქრება და –*

*კრეპი ახველებს. სინათლეში დაუბრუნდება, დაჯდება, პირს მოიწმენდს, ისევ მაგნიტოფონს ჩართავს და მოსასმენად მოემზადება.*

**ფირი** – გასული წელი, რომელსაც, ვფიქრობ, ისევე ვხედავ და ვაფასებ, როგორც მაშინ... მახსენდება შემოდგომის მიწურული და, რაღა თქმა უნდა, ის ძველი სახლი არხის პირას, სადაც დედაჩემი, ხანგრძლივი ქვრივობის შემდეგ, სიცოცხლეს ეთხოვებოდა, მახსოვს ის – (კრეპი მაგნიტოფონს გამორთავს, ფირს გადაახვევს, ახლოს მიიწევა, სმენას გაამახვილებს და ხელახლა ჩართავს) – დედაჩემი, ხანგრძლივი ქვრივობის შემდეგ, სიცოცხლეს ეთხოვებოდა, მახსოვს –

**კრეპი** მაგნიტოფონს გამორთავს, თავს აწევს, სიცარიელეს ჩააშტერდება. ტუჩები უხმაუროდ იმეორებენ სიტყვას „ქვრივობა". წამოდგება, სცენის სიღრმეში, სიბნელეში შეაბიჯებს, შემდეგ დაბრუნდება, ხელში უზარმაზარი ლექსიკონი უჭირავს, მაგიდას მიუჯდება, ლექსიკონს მაგიდაზე დადებს და სიტყვის ძებნას იწყებს.

**კრეპი** (ლექსიკონს კითხულობს). – ქვრივი – ქალი, რომელსაც ქმარი მოუკვდა, ან კაცი, რომელსაც ცოლი მოუკვდა, ქვრივობა – ქვრივის მდგომარეობა, ან ქვრივად ყოფნა (თავი ასწია. დაფიქრებული.) ყოფნა თუ მდგომარეობა?... (პაუზა. ისევ ჩაიხედავს ლექსიკონში, გადაფურცლავს.) ქვრივი, ქვრივობა, ქვრივ-ობოლი, ქვრივ-ობლობა. ქვრივოხერი... ჰმ... ქვრივობა... (ისევ კითხულობს) ქვრივის სამოსი – იხმარება აგრეთვე ფრინველების, მაგალითად, ქვრივჩიტას ნაკრტენის აღსანიშნავად. ნაკრტენი რაღა არის? ჰმ... ბუმბული... მამრთა შავი ფრთასხმულობა... ქვრივჩიტა... (თავს წამოწევს. დაგემოვნებით.) ქვრივი ჩიტი!

პაუზა. ლექსიკონს გვერდზე გადადებს, მაგნიტოფონს ჩართავს და მოსასმენად მოემზადება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

**ფირი.** – ის სკამი წისქვილის ღართან, საიდანაც მისი ფანჯარა ჩანდა. სწორედ იქ ვიჯექი სუსხიან ქარში და დედაჩემის სიკვდილს ველოდებოდი. (პაუზა.) არავინ იყო, გამვლელების გარდა, ერთი-ორი ძიძა ბავშვით, მოხუცები და ძაღლები... ყველას გავეცანი –გარეგნულად, რა თქმა უნდა. განსაკუთრებით ერთი შავგვრემანი ლამაზმანი დამამახსოვრდა. თეთრებში გამოწყობილი, გაკრახმალებული, შეუდარებელი მკერდით. სამგლოვიარო კატაფალკის მაგვარ დიდ, შავ ეტლს მიაგორებდა! რამდენი არ შევხედე, მის თვალებს წავაწყდი. ყურადღებით მაკვირდებოდა. ერთმანეთს აბა ვინ გაგვაცნობდა... ერთხელაც გამბედაობა მოვიკრიფე და გამოლაპარაკება ვცადე. დამემუქრა, პოლიციელს დავუძახებო. თითქოს უმანკოების წართმევას ვუპირებდი. სულელი. (სიცილი.) არა და, რა სახე ჰქონდა! ან რა თვალები! როგორც... (ყოყმანის შემდეგ) ... როგორც ზურმუხტი! (პაუზა.) რას იზამ... (პაუზა.) ჰოდა, იქ ვიჯექი, როცა – (კრეპი გამორთავს მაგნიტოფონს, ჩაფიქრდება, კვლავ ჩართავს) – ფარდა დაეშვა. ჟანგისფერი მოყავისფრო რაღაც, ზევით-ქვევით რომ მოძრაობს და რულონივით იხვევა. პატარა თეთრ ძაღლს ბურთი გადმოუგდეს. სწორედ იმ წუთს ავწიე თავი და ღმერთმა უწყის როგორ, ბურთი დავიჭირე. რაც მოხდა მოხდა. წასული ამბავია. ერთი-ორი წამი ვიჯექი ასე, ბურთით ხელში, ძაღლი წკვიტინებდა და თათით ბურთს ებღაუჭებოდა... წასართმევად. (პაუზა.) წამიერება. (პაუზა.) მისი... ჩემი წამები. (პაუზა.) ძაღლის წამები. (პაუზა.) ბოლოს, როგორც იქნა, ბურთი ძაღლს გადავუგდე. მან პირი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად წაავლო. კაუჩუკის პატარა, შავი, გაცვეთილი, მკვრივი ბურთი. (პაუზა.) სიკვდილამდე მეხსომება, როგორ მეჭირა ხელში. ხომ შემეძლო შემენახა. (პაუზა.) მაგრამ ძაღლს მივეცი.

*პაუზა.*

აი, ასე...

*პაუზა.*

სულიერი სიმწირის და უიმედობის კიდევ ერთი წელი, მარტის იმ უცნაურ ღამემდე გაგრძელდა, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ. წყალსაპირა ყორეზე, გრიგალში, უცებ ყველაფერი გაცხადდა, თითქოს გონება გამინათდაო. დღეს, ვფიქრობ, სწორედ ეს უნდა ჩავწერო, უნდა მოვემზადო იმ დღისთვის, როცა ჩემი ჯაფა... (ყოყმანობს) ... ფერფლად იქცევა და აღარაფერი – არც ცუდი და არც კარგი, აღარ მომაგონებს იმ სასწაულს... (ყოყმანობს) ... იმ ცეცხლს, რომელმაც ეს სასწაულიააგიზგიზა. უცებ მივხვდი, რომ რწმენა, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება წარმართა იყო – (კრეპი მოულოდნელად გამორთავს მაგნიტოფონს, ფირს წინ გადაახვევს და ისევ ჩართავს) – გრანიტის სალ კლდეებს შუქურით განათებული ქაფი ეხეთქებოდა, მორყეული ქანქარა ლოკოკინასავით იგრიხებოდა და მეც საბოლოოდ ვირწმუნე რომ წყვდიადი, რომელსაც ასე გიჟურად გავურბოდი, სინამდვილეში ჩემი საუკეთესო – (კრეპი სწრაფად გამორთავს მაგნიტოფონს, წინ გადაახვევს ფირს და ისევ ჩართავს) – ურღვევი კავშირი, ვიდრე ქარიშხალისა და წყვდიადის უკანასკნელი ამოოხვრა ურთიერთგაგების შუქში არ შთაინთქმება, ხოლო ცეცხლი – (კრეპი იგინება, მაგნიტოფონს გამორთავს, ფირს გადაახვევს და ისევ ჩართავს) – მკერდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში სახეშაფლული და წელზე ხელმოვლებული დიდხანს ვიყავით ასე უძრავად, ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ირწეოდა და ჩვენც გვარწევდა ზევით, ქვევით, აქეთ, იქეთ.

*პაუზა.*

შუაღამე იღეოდა. მსგავსი სიჩუმე არასდროს მსმენია. დედამიწა უკაცრიელი მეჩვენებოდა.

*პაუზა.*

ამით ვამთავრებ –

*კრეპი მაგნიტოფონს გამორთავს, ფირს უკან გადაახვევს და ხელახლა ჩართავს.*

– სათავესთან ჩავუშვით ნავი და ნაპირ-ნაპირ მივყევით ტბას. მერე ღრმად შევცურეთ და დინებას ავყევით. ის ნავის ფსკერზე იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და თვალები დაეხუჭა. სწორედ ისეთი ამინდი იდგა, მე რომ მიყვარდა – კაშკაშა მზე, მსუბუქი ქარი, წყნარად მოკამკამე წყალი. თეძოზე ნაკაწრი შევნიშნე და ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი. ბუჩქნარში მოცხარი დავკრიფე, მიპასუხა მან. მერე ვუთხარი, რომ ყოველივე უიმედო მეჩვენებოდა და ასე გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. თვალები არც გაუხელია, ისე დამეთანხმა. (პაუზა.) ვთხოვე ჩემთვის შეეხედა. ოდნავ დააყოვნა – (პაუზა) – ოდნავ დააყოვნა და თვალების გახელა სცადა, მაგრამ მზე უშლიდა. მაინც გაახილა. მისი თვალები ორ მოელვარე ჭუჭრუტანას დაემსგავსა. დავიხარე და ჩრდილად გადავეფარე. (პაუზა.) თვალები ნელ-ნელა გაახილა და... (პაუზა.) ... მის სხეულში ჩაძრვის უფლება მომცა. (პაუზა.) დინებამ ლელიანში გაჭედა ნავი. ლერწამი თითქოს წუხილით გვიხრიდა თავს! (პაუზა.) მის სხეულს ვაკვდებოდი მკერდში სახეჩაფლული და წელზე ხელმოვლებული... დიდხანს ვიყავით ასე უძრავად. ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ირწეოდა და ჩვენც გვარწევდა ზევით, ქვევით, აქეთ, იქეთ...

*პაუზა.*

შუაღამე იღეოდა. მსგავსი სიჩუმე –

*კრეპი მაგნიტოფონს გამორთავს, ჩაფიქრდება. მერე ჯიბეებში იწყებს ქექვას, ბანანს მონახავს, ამოიღებს, გულდასმით შეათვალიერებს, უკან ჩაიდებს და ისევ რაღაცის ძებნას იწყებს, კონვერტს ამოიღებს, საათს დახედავს, წამოდგება და სცენის სიღრმეში, სიბნელეში გაუჩინარდება. ათი წამი. ბოთლის ჭიქაზე გაკვრის ხმა. მერე სიფონით ჩამოსხმული წყალი გაიშიშინებს. ისევ ათიოდ წამი, ისევ ბოთლის ჭიქაზე გაკვრა. ათი წამი. საგრძნობლად ფეხარეული კრეპი სინათლეში შემოაბიჯებს, მაგიდას მიუახლოვდება, წინიდან მოუვლის, გასაღების შეკვრას ამოიღებს, თვალთან მიიტანს, ერთ გასაღებს ამოარჩევს და უჯრას გამოაღებს. შიგ ჩაიხედავს, ხელს ჩაყოფს, ფირს ამოიღებს, დაათვალიერებს. მერე უჯრას გასაღებით ჩაკეტავს, გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს, დაჯდება, მაგნიტოფონიდან ფირს ამოიღებს, ლექსიკონზე დადებს, სუფთა ფირს მაგნიტოფონზე შემოდებს და კონვერტს ამოიღებს, შიგ ჩაიხედავს და მაგიდაზე დადებს, ჩაფიქრდება, მაგნიტოფონს ჩართავს, ჩაახველებს და ჩაწერას იწყებს.*

კრეპი. – ეს ესაა იმ საცოდავ, გონებაჩლუნგ კრეტინს მოვუსმინე, როგორიც ამ ოცდაათი წლის წინათ ვყოფილვარ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესღაც ასეთი უტვინო ვიყავი. მადლობა ღმერთს "ამეებს" მაინც მოეღო ბოლო. (პაუზა.) რა თვალები ჰქონდა! (ჩაფიქრდება, უცებ გააცნობიერებს, რომ სიჩუმეს იწერს, მაგნიტოფონს გამორთავს, ისევ ფიქრს მიეცემა. და ბოლოს ლაპარაკს იწყებს.) ყველაფერი იქ იყო – (გააცნობიერებს, რომ მაგნიტოფონი ჩართული არ არის, ჩართავს.) ყველაფერი იქ იყო, იქ! მთელი ეს ბებერი, აქოთებული პლანეტა, შუქი და უკუნეთი, შიმშილი და საუკუნეთა... (შეჩერდება) ... ღრეობა! (პაუზა. ყვირის.) დიახ! (პაუზა. გამწარებული.) როგორ გავუშვი ხელიდან! ღმერთო ჩემო! სწავლაში ხელს შემიშლისო! ღმერთო! (პაუზა. ქანცგაწყვეტილი.) იქნებ მართალი იყო? (პაუზა.) იქნებ მართალი იყო? (ჩაფიქრდება. გონს მოეგება. მაგნიტოფონს გამორთავს. კონვერტში ჩაიხედავს.) ფუ! (კონვერტს დაჭმუჭნის და გადააგდებს. ჩაფიქრდება. ისევ ჩართავს მაგნიტოფონს.) მორჩა სათქმელი, გეყო წუწუნი. რა მომცა ამ ერთმა წელმა? მოუნელებელი ქაქი და საცობი უკანალში (პაუზა.) ფირებით ტკბობა. (სიამოვნებით.) ფიიირი! უნეტარესი წამი ამ ნახევარ მილიონ წამებში. (პაუზა.) გაიყიდა ჩვიდმეტი ასლი, აქედან თერთმეტი საბითუმო ფასში უცხოეთის მუნიციპალურმა ბიბლიოთეკებმა შეიძინა. ცნობილი ვხდები. (პაუზა.) ერთი გირვანქა, ექვსი შილინგი და რამდენიმე, ალბათ რვა პენსი. (პაუზა.) ერთი-ორჯერ გარეთაც გავჩანჩალდი, ვიდრე ამინდი გაოხრდებოდა. გათოშილი ვიჯექი ბაღში და, ოცნებებში ჩაკარგულს, სიკვდილი მენატრებოდა. არავინ. არსად. (პაუზა.) უკანასკნელი ქიმერები. (გამწარებული.) გავსრისოთ! (პაუზა.) თვალები საბოლოოდ დავითხარე, მაგრამ კიდევ ერთხელ და ისევ აცრემლებულმა გადავაკითხე „ეფი". დღეში თითო გვერდს ვერეოდი. ეფი... (პაუზა.) ვიქნებოდი ნეტავ ბედნიერი მასთან ერთად იქ, ზემოთ, ბალტიის ზღვის სილახვავსა და ფიჭვნარში. (პაუზა.) არა? (პაუზა.) და ის? (პაუზა.) ფუ! (პაუზა.) ერთი-ორჯერ ფანიც გამოჩნდა. ბებერი კახპის აჩონჩხლილი აჩრდილი. დიდი ვერაფერი მოვახერხე, მაგრამ ბარძაყებში ფეხის საცოდავად ტრიალს მაინც ჯობდა. თუმცა, ბოლო მოსვლაზე არც ისე ცუდად წავიდა საქმე. როგორ ახერხებო, მკითხა, შენს ასაკშიო. ვუთხარი, რომ მთელი ცხოვრება საგანგებოდ მისთვის ვინახავდი თავს. (პაუზა.) ერთხელ წმინდა დებთან საღამოს ლოცვაც ვიმღერე, როგორც მაშინ, როცა მოკლე შარვლებში დავრბოდი. (პაუზა. მღერის.)

მწუხრი ეშვება მთიდან
ცა სილაჟვარდეს ფანტავს
ხმაური ქრება და ირგვლივ –
(ხველა აუტყდება. თითქმის უხმოდ გააგრძელებს)
– მშვიდად იძინებს ყველა.

(ქოშინით.) ჩამეძინა და სკამიდან გადმოვარდი. (პაუზა.) ღამ-ღამობით ხშირად მიფიქრია, იქნებ თავს ძალა დავატანო და – (პაუზა.) კმარა! გამოწრუპე შენი ღვინო და ჩაეგდე ლოგინში. ლაყბობა ხვალ გააგრძელე. ან აქვე დასვი წერტილი. (პაუზა.) ლოგინში ჩაეგდე! თავქვეშ ბალიში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოიდე და იხეტიალე რამდენიც გინდა ამ სიბნელეში. ჭყორის წითელი კენკრა დაკრიფე შობის წინადღეს. (პაუზა.) ან ნისლიან კვირა დილას ძაღლთან ერთად გაისეირნე, კროგანში. მერე შეჩერდი და ზარებს მოუსმინე. (პაუზა.) რაც გინდა, ის გააკეთე. თავიდან დაიწყე! დაიწყე თავიდან! (პაუზა.) ისევ ეს ძველი, ხავსმოდებული ტანჯვა. (პაუზა.) ერთხელ არ გეყო. (პაუზა.). მიდი, დააკვდი მის სხეულს.

ხანგრძლივი პაუზა. უცებ დაიხრება, მაგნიტოფონს გამორთავს, ფირს უხეშად ამოაგდებს, შორს მოისვრის, სხვა ფირს ჩადებს და საჭირო ნაწყვეტს მოძებნის. მერე მაგნიტოფონს ჩართავს და, მზერაგაშტერებული, მოსასმენად მოემზადება.

**ფირი.** – მოცხარი დავკრიფე, მიპასუხა მან. მერე ვუთხარი, რომ ყოველივე უიმედო მეჩვენებოდა და ასე გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. თვალები არც გაუხელია, ისე დამეთანხმა. (პაუზა.) ვთხოვე ჩემთვის შეეხედა. ოდნავ დააყოვნა – (პაუზა) – ოდნავ დააყოვნა და თვალების გახელა სცადა, მაგრამ მზე უშლიდა. მაინც გაახილა. მისი თვალები ორ მოელვარე ჭუჭრუტანას დაემსგავსა. დავიხარე და ჩრდილად გადავეფარე. (პაუზა.) თვალები ნელ-ნელა გაახილა და... (პაუზა.) ... მის სხეულში ჩაძირვის უფლება მომცა. (პაუზა.) დინებამ ლელიანში გაჭედა ნავი. ლერწამი თითქოს წუხილით გვიხრიდა თავს! (პაუზა.) მის სხეულს ვაკვდებოდი მკერდში სახეჩაფლული და წელზე ხელმოვლებული... დიდხანს ვიყავით ასე უძრავად. ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ირწეოდა და ჩვენც გვარწევდა ზევით, ქვევით, აქეთ, იქეთ...

*პაუზა. კრეპი უხმოდ ამოძრავებს ტუჩებს.*

შუაღამე ილეოდა. მსგავსი სიჩუმე არასდროს მსმენია. დედამიწა უკაცრიელი მეჩვენებოდა.

*პაუზა.*

ამით ვამთავრებ. კოლოფი – (პაუზა) – სამი, ფირი – (პაუზა) – ხუთი. (პაუზა.) ჩემი საუკეთესო წლები, ალბათ, წავიდა. გაილია. წლები, როცა ბედნიერების დაბრუნება კიდევ შემეძლო. მაგრამ არ მინდა. ეხლა, როცა ჩემს სულში სხვა ცეცხლი ტრიალებს, აღარ მინდა. არა, არ მინდა!

*კრეპი უძრავად გაჰყურებს სიცარიელეს. სიჩუმეში მხოლოდ ფირის ტრიალის ხმა ისმის.*

ფარდა

*ფრანგულიდან თარგმნა*
**ირინა ლოლობერიძე**